KH & PARTNERS GLOBAL LAW FIRM

წილის დათმობის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

_____ _____ 2025 **ქ. თბილისი**

ფ/პ **_____ _____** (პ/ნ _____) (შემდეგში - **„წილის დამთმობი“**), ერთის მხრივ, და ფ/პ **_____ _____** (პ/ნ _____), (შემდეგში - **„წილის შემძენი“**), მეორეს მხრივ, **„წილის დამთმობი“** და **„წილის შემძენი“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები“**, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. **„წილის დამთმობი“ „წილის შემძენს“** საკუთრებაში გადასცემს **შპს „_____“**-ში (ს/ნ _____) (შემდეგში - **„საზოგადოება“**) მისი („წილის დამთმობის“) კუთვნილი _____ ერთეული წილიდან (**_____%**-იანი წილობრივი მონაწილეობიდან განთავსებულ კაპიტალში. წილების გადაცემამდე, **„საზოგადოებაში“ „წილის დამთმობის“** კუთვნილი წილების ჯამური ნომინალური ღირებულება - _____ლარი) _____ ერთეულ წილს (**_____%**-იან წილობრივ მონაწილეობას განთავსებულ კაპიტალში. გადაცემული წილების ჯამური ნომინალური ღირებულებაა - _____ლარი);

1.2. **„წილის დამთმობის“** მიერ **„წილის შემძენისთვის“** წილებზე საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ **„საზოგადოებაში“** წილები შემდეგი სახით განაწილდა:

- ფ/პ **_____ _____** (პ/ნ _____) – **____** ერთეული წილი **„საზოგადოებაში“**, **_____%**-იანი წილობრივი მონაწილეობა **„საზოგადოების“** განთავსებულ კაპიტალში. წილების ჯამური ნომინალური ღირებულება - _____ ლარი;
- ფ/პ **_____ _____** (პ/ნ _____) – **_____** ერთეული წილი **„საზოგადოებაში“**, **_____**-იანი წილობრივი მონაწილეობა **„საზოგადოების“** განთავსებულ კაპიტალში. წილების ჯამური ნომინალური ღირებულება - _____ ლარი;

1.3. **„წილის დამთმობის“** მიერ **„წილის შემძენისთვის“** გადაცემული წილების სარეალიზაციო/გასაყიდი ფასი შეადგენს - _____ ლარს;

1.4. **„წილის შემძენის“** მიერ **„წილის დამთმობისთვის“** შეძენილი წილების ფასი (1.3. პუნქტი) **„ხელშეკრულების“** გაფორმებისთვის მომენტისთვის გადახდილია სრულად.

2. სხვა პირობები

2.1. **„წილის შემძენს“** წილებზე საკუთრების უფლება გადაეცემა **„ხელშეკრულების“** საჯარო/სამეწარმეო რეესტრში წარდგენისა და საკუთრების უფლების ცვლილების რეგისტრაციის შემდეგ;

2.2. წილებზე საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ **„წილის შემძენი“** ხდება **„საზოგადოების“** სრულუფლებიანი პარტნიორი, **„საზოგადოების“** წესდებითა და საქართველოს სამეწარმეო სამართლით მათთვის მინიჭებული/დაკისრებული უფლებებითა და ვალდებულებებით;

2.3. **„წილის შემძენი“** აცხადებს, რომ **„ხელშეკრულების“** გაფორმებამდე ის გაეცნო **„საზოგადოების“** საქმიანობას და ფინანსურ მაჩვენებლებს.

2.4. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა **„მხარეებს“**, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (საჯარო/სამეწარმეო რეესტრში) საკუთრების უფლების ცვლილების რეგისტრაციის მიზნით.

„წილის დამთმობი“:

_____ / ფ/პ _____ (პ/ნ _____) /

„წილის შემძენი“:

_____ / ფ/პ _____ (პ/ნ _____) /